1890 წელსა, № 1 15 იანვარს.

4784

მწყემსი

1883-1890

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ოთხელი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

შინაარსი: ახალი 1890 წელი.—რა საშუალებას ხმარობენ ზოგიერთნი მწყემსნი სამრევლოის სიყვარულის და პატივისცემის მოსაპოვებლად?—«მწყემსი»-ს კორესპონდენტია გურიიდგან.—ვის არის ბედნიერი?—ივდითი.—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიტყვა ახალს წელს, თქმული იმერეთის ეპისკოპოსის კანონიერის მიერ.—მრევლთა სასურველებად.—შეწირულებანი.—განცხადება.

ახალი 1890 წელიწადი.

მეგობარნო, მე დავჭკარგე დღევანდელი დღე! წამოიძახა თავის დაახლოვებული პირების წინაშე რომის იმპერატორმა ტიტმა ერთ დღეს, რომლის განმაელობაში მას არ მისცემია შემთხვევა, რომ რაიმე კეთილი საქმე ჩაედინა. **მეგობარნო, მე დავკარგე ერთი წელიწადი!** წამოიძახებდა ბევრი ჩვენგანი თავის მახლობელთა წინაშე ამა წარსული წლის უკანასკნელი დღის საღამოზე, რომ ჩვენ ფიცხელს და გულწრფელს ანგარიშს მოვსთხოვდეთ ხოლმე ჩვენს თავს მასზე, თუ რა მოვიმოქმედეთ წარსულს წელში. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამისთანა ფიცხელს და გულწრფელს ანგარიშს ძალიან იშვიათად სთხოვენ ხოლმე თავიანთ თავს უმეტესი ჩვენგანი. მაგრამ ესაც კი ძვირად ულირს თავის **მე** და გულიანად არ შეიცქერის ყოველიფეს, რაც კი მის გარეშე ხდება, მან ხშირად უნდა მოსთხოვოს თავის თავს, ასეთი ანგარიში, რადგან თავის მოქმედებათა გაშინჯვა თავის ნაკლულევანებათა შეგნება არის პირველი მომასწავებელი ნიშანი, რომ კაცს ჰსურს გასწორდეს და ელიდეს წარმატებისადმი. ამ უმთავრეს მოვალეობას ყველაზე უმეტესად მოგვაგონებს ხოლმე ჩვენ ახალი წელიწადი, რომელიც დადგება ხოლმე ნაცვლად ძველისა. თვითოეული ჩვენგანი გრძნობს ამას და ამიტომ ახალი წლის პირველ დღეს მივიჩქარით ჩვენ ნათესავებთან და ნაცნობებთან და ულოცავთ მათ ახალს წელს, ახალს ბედნიერებას და წარმატებას. ამ დღეს ყოველ კაცს ცხადათ ემჩნევა პირის სახეზე რაღაცა განსაკუთრებული სიხარული. თვითოეული ჩვენგანი როგორც თავისთვის ისე სხვისთვის სურვობს ბედნიერ და მყუდრო ცხოვრებას, თვითოეულს სურს ქვეყნის საზოგადო ცხოვრებაში შეიტანოს თავის მხრით ყოველივე კეთილი, ჭეშმარიტნი აზრნი, წმინდა გრძნობანი, კეთილნი მისწრაფებანი და კანონიერნი საქმენი. ამ დღეს ყოველ კაცს ავიწყდება, რომ მის წუთიერს ცხოვრებას მოაკლდა ერთი წელი, ავიწყდება, რომ ახალმა წელმა ეგვე უფრო მრავალი უბედურება მიაყენოს მას, ყველას ავიწყდება, რომ ახალს წელს შეიძლება ქვეყნიერებაზე გამრავლდეს ყოველივე ბოროტი და ცუდნი გულის ენებანი. ბედნიერთ და წარჩინებულ პირთ ამ დღეს ავიწყდებათ, რომ ახალს წელში შეიძლება შეემთხვეს მათ რაიმე უბედურებანი, რომელთაც შეუძლია მათი გაუბედურება, დამცირება და დაუძლურება. მთელი საზოგადოებანი და ერნი ამ დღეს ავიწყებენ, რომ მათ ცხოვრებაში ახალს წელს შეიძლება ზნეობრივ, ფიზიკურ და პოლიტიკურ დროთა ვითარებისა გამო მოჰყვეს საზოგადო ახალი უბედურებანი. ყველანი ავიწყებენ ამას და თითოეულს სულითა და გულით სურს ბედნიერება როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისთვის, ისე სხვისთვის. ერთი სიტყვით პირველი დღე ახალი წლისა არის დღე იმედისა და სასოებისა საუკეთესო მომავალზედ,—ეს არის დღე, როდესაც მთელი ქვეყნის და კაცობრიობის ცხოვრებაში იწყება ახალი მოძრაობა და მუშაობა. ყოველი გონიერი და მოაზრე კაცი ამ დღეს თავის თავს ეკითხება, აბა რა ახალს საქმეებს უნდა მივყო მე დღეიდგან ხელი, რა უნდა შევიტანო ჩემის მხრით ცხოვრების საზოგადო საქმეში? მაგრამ აი გაიარა ახალის წლის პირველმა დღემ, მეორემ მესამემ და თითოეული კაცის ცხოვრებაში ჩვენ თითქმის ყოველივე მას ვხედავთ, რასაც ვამჩნევდით წარსულს წელში. ცხოვრება ყველგან მიმდინარეობს თავის ბუნებრივის და ჩვეულებრივის გზა-კვალით, და, თუმცა ყველა ახალ წლის დღეს სულით და გულით ულოცავდით ერთმანერთს ახალს ბედნიერებას და ახალს შვება-სიხარულს, მაგრამ მაინც ამითი არავის არა შეეძინა რა. ცხოვრებას აწარმოებენ განგების უცვალებელნი კანონნი და, რა გასაკვირველია, რომ ეს ცხოვრება არ ემორჩილებოდეს ჩვენ ოცნებათა და თავმოყვარებით ანგარიშებსა. მაშ რა გვაიძულებს, რომ ასე აშკარად ვატყუებთ როგორც თავის თავს, ისე სხვებს? ამას გვაიძულებს ის ჩვენი შემცდარი შეხედულება, რომ ჩვენ ჩვენი თავი მხოლოდ ბედნიერებასათვის გვგონია გაჩენილი და ყოველივე ჩვენი საქმიდგან გამოველით პირად სარგებლობას და თვით ბედნიერებაზე და უბედურებაზე, კეთილზე და ბოროტზე ვადგენთ აზრს ჩვენის საკუთარის თავ-მოყვარეობისა და პირადი სარგებლობის მიხედვით,—ის კი გვავიწყდება, რომ ქვეყანა და თვით ჩვენი ცხოვრება აგებულია და დამყარებული ჩვენგან დამოუკიდებელ ბუნებისა და განგების შეურყეველ კანონებზე...

ასეთივე ფაცი-ფუცი და სიცოცხლე ეჩვენება ახალი წლის პირველს დღეს თვით მწერლობასაც. მწერლობას თავის მოვალეობად მიაჩნია ამ დღეს წარუდგინოს მკითხველებს წარსული წლის ანგარიში, და გამოსთქვას მათ წინაშე თავისი ნატვრა და სურვილნი ახალი წლის შესახებ. იგი სარგებლობს ამ შემთხვევით და სცდილობს, რომ თავის მკითხველების ცხოვრებას მოჰფინოს ახალი აზრი, გრძნობანი, მისწრაფებანი და იმედნი, ჩაუდგას მათ ახალი სული, უფრო ენერგიული, აზროვანის და ნაყოფიერის ცხოვრებისათვის, გაჰუანტოს მათში ძველი წლის მთელი ვარამი და ბოროტი. მაგრამ ადგილობითმა მწერლობამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ წელში თითქმის სრულიად უმტყუნა თავის ფრიად საპატიო დანიშნულებას. ყველაფერს, რაც კი გვითხრა ჩვენ ამ მწერლობამ საახალწლოდ, ასვია ბეჭედი აზრის მოდუნებიაა და მოჩლუნგებისა, გრძნობათა გაცივებისა და ამაოდ-მეტყველებისა.

ზოგიერთი მწერალნი აღფურვილნი არიან პიროვნის სათვალებით და თავის მკითხველებს სულ სხვა სახით და სურათებით უხატავენ ცხოვრებას. იგინი ემდურიან ამ ცხოვრებას და სთელიან მასს სრულიად ამაოდ და მეტ ბარგად. ესეთი შეხედულობის გავრცელება ცხოვრებაზე მეტად მავნებელია მკითხველებისათვის. ჩვენ გვიკვირს, თუ რა უფლების ძალით ნებულობენ ჩვენი პუბლიცისტები თავიანთ პირადი ცხოვრებიდგან სამდურაველის გადატანას მკითხველებზე? ჩვენ ვერ გაგვიგია, თუ რა ნება აქვსთ მათ, რომ თავიანთ უბედურებათა გამო მკითხველების წინაშე გაიმეორონ: «ნიჭო ამაო, წარმავალო, სიცოცხლეო, შენ რათ მოძღვიჭე?»

მაგრამ არა: «სიცოცხლე ჩვენთვის ღმერთს მოუცია არა ამაოდ, არა შემთხვევით», მოგიგებთ თქვენ, ბატონებო, ერთის მესანიშნავის მწყემს-მთავრის სიტყვებით.

მართალია, როდესაც ჩვენს ცხოვრებას ვაკვირდებით ესეთი სურათი წარმოგვიდგება: წელნი მიდიან, წელნი მოდიან და თან მიაქვსთ მრავალ პირთა სიცოცხლე დაუბრუნებლივ, ვერ ვხედავთ ვერც ერთ ცხოველს, სიცოცხლე მინიჭებულს, რომ იგი სიკვდილს ასცდენოდეს,—ვხედავთ ჩვენ სიკვდილ-სიცოცხლის საშინელს ბრუნვა—ტრიალს და უნებლიეთ ვეკითხებით ჩვენს თავს: რაღაზედ ვიბადებით, რაღაზედ ვიცოცხლობთ, თუ ჩვენს სიცოცხლეს უსათუოდ ერთ დროს ბოლო უნდა მოეღოს, სიკვდილი ეწიოს? და ან რა მნიშვნელობა აქვს თითოეული ჩვენგანის სიცოცხლეს, თუ იგი ჩვენთვის ღმერთს მოუნიჭებია **არა ამაოდ და შემთხვევით**? ეს კითხვა მარად თან დაგვდევს ჩვენ ყოველ გვარს ჩვენს მდგომარეობაში: მაშინაც, როცა ჩვენ სულითა და ხორცით ვყვავით და ჩვენ წინაშე მშვენიერად გადაშლილია სიცოცხლის ფართო ასპარეზი, მაშინაც, როცა ჩვენი სიცოცხლე ჭკნება და უახლოვდება სამარეს,—ბედნიერ დღეებშიაც და უბედურობის დროსაც,—და ამ კითხვაზე შეუძლებარის პასუხის მიცემა ჩვენ შეგვეძლია ხოლოდ მაშინ, როცა თვით სიცოცხლეს იმ ფასს და მნიშვნელობას ვაძლევთ, რაც მართლა აქვს და ეკუთვნის მასს.

სიცოცხლე უძვირფასესი და უტკბესი ჯილდოა ჩვენდამი ღვთისგან მონიჭებული; იგი გვაქვს ჩვენ მომადლებული ღვთისგან როგორც უდიდესი განძი მთელს ქვეყანაზე; მისი მეოხებით ჩვენ შეგვიძლია ეიგემოთ და დავეწაფოთ ყველა იმ სიტკბოებათა და კეთილთა ნაყოფთა, რითაც კი სავსეა ბუნება; ამ საკვირველი ნიჭის გამო კაცს შეეძლია უწოდოთ პატარა მსოფლიო ქვეყანაზე: ყველა სულდგმულ არსებათა შორის ქვეყანაზე მხოლოდ კაცს აქვს მომადლებული უმაღლესი, სხვა და სხვა გვარი და თვით ტოლი სიცოცხლის ნიჭი; ჭკუა-გონებას აჭყავს იგი უმაღლეს იდეათა და აზრებამდე, გრძნობანი ნებას აძლევენ მისწვდეს იგი ადამიანის თვით უსაიდუმლოეს და დაფარულს გულის მოძრაობათა, ხოლო ძალა ნებისა ამ ორ საკვირველ ნიჭიერებასთან ერთად ხდიან მაცს მთელის ქვეყნის ბრძანებლად, ბატონად და მეუფედ. აი ამ სიცოცხლით უნდა სარგებლობდეს ყოველი ჩვენგანი როგორც უძვირფასესის სამკაულით და ყოველ დღე ფიცხელ ანგარიშს უნდა აძლევდეს იგი თავის თავს, თუ როგორ ატარებს ის ამა სიცოცხლეს. ჩვენს სიცოცხლეს უნდა ასაზრდოებდეს და ასულდგმულებდეს თავიდამ ბოლომდის მხოლოდ მისწრაფება ჭეშმარიტებისა, კეთილისა და სიმართლისადმი; ეს არის ლირსეული მისი შინაარსი, ჭეშმარიტი მისი გზა. ყოველს კაცს უჭირავსდა მიზღული აქვ თავისი შესაფერი ფიზიკურ-ზნეობრივი და გონებრივი ძალა და ნიჭი, რომელსაც უნდა შეუზომოს მან ყოველგვარი თავის მოღვაწეობა, კიდეც რომ ეს მოღვაწეობა მდგომარეობდეს მწის უბრალო მუშაობაში, ანუ რაიმე მდაბალს ხელობაში. შრომა, მიმართული განსახორციელებლად თავის ცხოვრებაში ჭეშმარიტებისა, კეთილ სა და სიმართლისა—აი აუცილებელი პირობა ბედნიერებისა ადამიანის ცხოვრებაში. სადაც პირველი ადგილი უჭირავს ეგრეთ შრომას, ს დაც ადამიანის სიცოცხლე ჩიდია სახარების კაცს დასდგომია, სადაც მოღვაწეობის დროშაზე ზნეობრივი მოვალეობის აღსრულება აწერია—იქაა ბედნიერებაც, იქაა სიცოცხლის სისრულეც და უნაგლულობა, იქ არა აქვს ადგილი არავითარს სიცოცხლის ათვალწუნებას და სხვათა, შვბრძანდით უბრალო ოჯახში, დაბალ ხალხთა საზოგადოებაში, სადაც გულწრფელ სარწმუნეობას და დაუდალავს ჯაფასა და შრომას მტკიცედ გაუდგამს ფეხი და თქვენ დაინახავთ, რომ ცხოვრება აქ თუმცა არ ბრწყინავს დიდი რამ შესანიშნავი საქმეებით და არც ფარფაშობს განათლების სხვა და სხვა ფორმებით და მაგრამ ცხადათ ანათებს ჭეშმარიტი ქრისტიანულის მშვიდის, ყანარის და გულისხმიერი სიცოცხლის სინათლითა. ეს სანატრელი სიცოცხლე ჰფენს თავის გარეშემო მშვიდობას, შვებას, სიხარულს, ტკბილს გრჭნობათა და კეთილის მოღვაწეობისა და ზნეობის ნათელ მაგალითთა. ნუ თუ ასეთ ცხოვრებას ჩვენ უნდა ვეწოდოთ ამაო, შემთხვევითი და უშნიშველო ცხოვრება?!..

მართალია, ზოგჯერ საშინელი წამები მიადგება კაცს—წამები სულის ტანჯვისა, იტანეულებისა, სევდისა და გულდებისა. მაგრამ კაცის თვალში ცხოვრება თითქო ჭკარგავს ყოველ მნიშვნელობას, სასოწარკვეთილება ზხამაგს მის სულს და ორგვარ სიკვდილს უქადის კაცს: ზნეობრივს და ფიზიკურს. რა უშველის, რა იხსნის მაშინ კაცს ? არის ქვეყანაზედ ერთი ძალა, სახსარი, რომელსაც შეუძლია იხსნას სული უსაშინელესი სასოწარკვეთილებისაგან და აღავსოს იგი იმედითა და სასოებითა. ეს არის ზნეობრივი ძალა ქრისტიანობისა. ამის თანა გახსაცდელის დროს მოიგონოს კაცმა, რომ იგი ქრისტიანია, ჩაიხედოს თავის შეწუხებულ სულში—და იქ იპოვის მარად მნათობ, მყუდრო და მადლით სავსე ქრისტიანობის სინათლეს, რომელიც მოჰფენს ნათელს მთელს მის სიცოცხლეს და უჩვენებს მას ცხოვრების მაღალს აზრსა და მნიშვნელობას.

ამის შემდეგ ძნელი შესატყობი არ არის, თუ რა კაცები უნდა იყვნენ ის კაცები, რომელთა აზრით ცხოვრება არის ვითომ ამაო, ფუჭი და შემთხვევითი. მაგრამ არიან ჭეშმარიტ სიცოცხლეს მოკლებულნი კაცები, იმათ გულში არ ყოფილის ნამდვილი გრძნობა, ხელში საქმე არა აქვსთ, მათ ხასიათს არ განამტკიცებენ მტკიცე რწმენანი, სვინიდისი ურწმუნო და ცხოვრება უმიზნო და უსაგნო აქვსთ...

აი, საყვარელნო მკითხველნო, რამოდენად ძვირფასია და სანატრელი სიცოცხლე კაცისათვის და რა მრუდე შეხედულება აქვსთ მასზედ ზოგიერთებს. ჩვენ კი წინაადმდეგ ამისა უზომო მადლობა შევსწიროთ უფალსა, რომ მან გაგვატარებინა წარსული წელი და და მოგვასწრო ახალს წელს.

მოგილოცავთ, მკითხველნო, ახალს წელს და სულითა და გულითა ვისურვებთ თქვენთვის, რათა უშფოთველად, მხნედ ? მტკიცე ენერგიით განგეგრძოთ, სადიდებლად ღვთისა, საზოგადო და თავის საკეთილოდ თავისი სიცოცხლე ცხოვრებისა ფართო და მრავალ გვარ ასპარეზედ, რომელზედაც მოწოდებულია თვითოეული. შეგვეწიოს ჩვენ ღმერთი ამ ახალ-წელში და განაშოროს ჩვენი სული უქმობასა, მიმოწყლილებასა და ცუდად მეტყველებასა და მოგვანიჭოს სული შრომის მოყვარებისა, მხნეობისა, სიმშვიდისა, მოთმინებისა და სიყვარულისა.

დეკ. დავით დამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საშუალებას ხმარობენ ზოგიერთნი მწყემსნი საბრეველოს სიყვარულის და პატივისცემის მოსაპოვებლად?

ყოველი მწყემსი საბრეველოში შესვლის დროს ცდილობს მოიპოვოს მისდამი რწმენებული საბწყოსის სიყვარული და პატივის ცემა. ამ მიზნის მასაღწევად ზოგნი მწყემსნი ხმარობენ კანონიერი ზომათა, ხოლო ზოგნი—ისეთ ზომათა და საშუალებათა, რომელნიც არ შეფერიან სულიერ მწყემსს. მაგალითად, ზოგიერთნი მწყემსნი ხმარობენ პირფერობას საბწყოსის წინაშე და ზოგჯერ მზად არიან მრევლის შესახედავად ჩაიდინონ ისეთი რამ, რისთვისაც მწყემსი უნდა ამხილებდეს საბწყოსს. ამისთანა არა საანატრელ მოვლენათ უმეტესად შენიშნავს კაცი იმ საბრეველოებში, სადაც ერთ ეკლესიაზე არის ორი-სამი მღვდელი. თვითოეული მათგანი ცდილობს თავის ამხანაგზე მომეტებულად დაიმახსოვროს საბრეველოს პატივის ცემა და მიიმხროს იგი თავისკენ. თვითოეული მათგანი ცდილობს თავი მოაწონოს მრევლს და ამიტომ ისე იქცევა, როგორც მის საბწყოსს იამება. ზოგიერთნი მწყემსნი მეტ ყურადღებას აქცევენ თავიანთ გარეგნობას და ამით უნდათ მოიპოვონ საბწყოსის სიყვარული. ზოგნი მიზნის მისაღწევად ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ ღვთისმსახურება დიდის ცერემონიით შეასრულონ და ამ დროს ცდილობენ გამოიჩინონ თავი როგორც მოხერხებული მსახურებით, ისე თავიანთი მოყვანილობით და ხმით.

ახლა მივაქციოთ ყურადღება, თუ რამოდენად ეხმარება სულიერს მწყემსს მრევლის სიყვარულის და პატივისცემის მოსაპოვებლად ზემოდ აღნიშნული ზომანი.

პირფერობა კაცის ღირსების დამამცირებელი რამ არის. ამ პირფერობით, შეიძლება, კაცმა ამ წუთიერს ცხოვრებაში კიდეც შეიძინოს რამე, მაგრამ სულიერი მწყემსი მსგავსი მოქმედებით, ჩვენის აზრით, უფრო ავნებს თავის თავს და სრულებით მისი საბწყოსის სიყვარულს ვერ მოიპოვებს. ამისთანა მწყემსნი განგებ ცდილობენ, რომ მათგან ნაქებ და დიდებულ პირებში დაფაროს ყოველი ცუდი ხასიათი და თვისება. მართალია, რომ ამისთანა მწყემსნი მოიწონებათ მედიდურ და თავმომწონე პირთ, მაგრამ არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელთ ჭეშმარიტად შეიყვარონ თავიანთი სულიერი მოძღვარი. ეთანა თავ-მოყვარე და მედიდური იყოს კაცი, ის მაინც ნიშნავს თავის ნაკლულევანებათა და ისიც კარგად ესმის, თუ მოძღვარი რისთვის აქებს მას. ამიტომ ასეთი პირნი თუმცა იღებენ მღვდლისგან ქება-დიდებას, მაგრამ გულში კი არ უყვარსთ თავის მოძღვარი. შეიძლება, რომ მოძღვარმა მზგავსი მოქმედებით მოიგოს თავის საბრეველოში რამდენიმე მედიდურნი და თავმომწონე პირნი, მაგრამ ამავე დროს იგი კარგავს გავლენას და სიყვარულს საბრეველოის უმეტესი ნაწილისას. ეს ასეც უნდა იყოს: რომელ ჭეშმარიტ ქრისტიანე კაცს მოეწონება, როცა მისი სულიერი მამა აქებს და ადიდებს ისეთ პირთ, რომელთაც უნდა ამხილებდეს იგი მათი ცუდი საქციელისა და ყოფაქცევისათვის. აქებენ ისეთ პირთ, რომელთაც რაიმე მცირე საქმე ჩაიდინეს თავის მოწონებისათვის და ამავე დროს შეუნიშნავად სტოვებენ უფრო მოღვაწე და კეთილ-მომქმედ პირთ. მსგავს მწყემსთა მრევლი ნაცვლად შეყვარებისა შეიძულებს და მტრულად დაუწყებს მასს ცქერას.

მრევლის თვალში მეტად მცირდება ის მღვდელი, რომელიც შიშისა ანუ რაიმე თავისი პირადი სარგებლობისა. გამო ვერ ამხილებს თავის მოწაფეს ცუდი საქმეებისათვის და შეუნიშნავად სტოვებს ისეთ საქმეებს, რომელთა უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ძვირად იქნება კაცი, რომ თავის თავში ვერა გრძნობდეს თავის ცუდ მიდრეკილებათა და მათ სიცუდეს არა გრძნობდეს; ცხადია აგრეთვე, რომ ასეთ პირთ არ მოსწონთ, როცა მათ სხვანი ამ ცუდ საქმეებზე უთითებენ, მაგრამ ამავე პირთ არა სწყინთ, როცა მათ მწყემსი ამხილებს და უშლის მოიშალონ ცუდი მიდრეკილებანი. ამისთანა კაცი ზიარების დროს ყოველთვის გულღიად მიდის თავის მოძღვართან და მის წინაშე დაუმალავად აცხადებს თავის ცოდვებს, არა მისთვის, რომ მღვდლისაგან მიიღოს ქება, არამედ მოისმინოს მისგან ჯეროვანი მხილება და მერე რჩევა, რომ იგი განიკურნოს თავის ცოდვებისაგან. ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანე თავისი სულიერი მწყემსისაგან მოელის სულიერ ძალას, რომ შემდეგში იგი ასცილდეს თავის ცუდს და სულისათვის მაგნებელ მიდრეკილებათა. აღსარების დროს ჭეშმარიტი ქრისტიანე კაცი უკმაყოფილოდ რჩება, როცა თავის მოძღვრისაგან შესაფერს კურნებას ვერ იღებს; მის გულში იბადება რაღაცა უსიამოვნება მღვდლისადმი, რომელმაც ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია მისი მოწაფის ცოდვებს.

ძალიან უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ჭეშმარიტ ქრისტიანე კაცზე, როცა მღვდელი ხათრისა გამო განგებ ამცირებს თავისი სულიერი შვილის ცოდვებს და შესაფერისად ვერ ამხილებს მას და ვერ აძლევს დარიგებას, რომ იგი შემდეგში მაინც აარიდოს ცუდ მიდრეკილებათა. აქედან ცხადად იხედება, რომ ყოველ ქრისტიანე კაცს მოსწონს და უყვარს ის მწყემსი, რომელიც შესაფერისად ამხილებს მასს ცოდვებისათვის და მასთან აძლევს დარიგებას, ხოლო სძულს ისეთი მოძღვარი, რომელიც ხათრისა გამო არ ამხილებს ალმსარებელს და ვერც შესაფერს დარიგებას აძლევს მასს.

უჰეტესად მწყემსნი ჰკარგავენ ყოველივე მნიშვნელობას თავიანთ სამრეველოებში, როცა ისინი ემორჩილებიან და ეფერებიან უფრო გავლენიან პირთ სამრეველოში და სხვებს კი ყურადღებას არ აქცევენ. და მართლაც საწყენია, როცა უმეტესი ნაწილი სამრეველოისა ხედავს, რომ მათი სულიერი მამა ფეხ-ქვეშ ეგება იმ პირთ, რომელთაგან შეეიწროებისა და შეწუხების მეტი არა ახსოვს რა უმეტესობას.

ზოგიერთნი მწყემსნი, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, სამრეველოის სიყვარულის და პატივისცემის მოსაპოებლად საჭიროდ ანუ კერძოდ სჩადიან ისეთ საქმეებს, რომელნიც არ შეფერის მწყემსის სამსახურს. და ამას სჩადიან იგინი იმიტომ, რომ განგებ დაუახლოდენ ზოგიერთ ცუდ-მიდრეკილების მქონე პირთ. მაგრამ სულიერმა მწყემსმა არ უნდა დაიწყოს ისიც, რომ ბევრი კაცი ზოგიერთ თავის საქციელს არა სთვლის მომაკვდინებელ ცოდვად, მაგრამ ამაევ მოქმედებისათვის იგი სასტიკად ჰკიცხავს თავის მოძღვარს, რადგან მას მოძღვარი მიაჩნია ზნეობის წარმომადგენელად და ყოველთვის ერიდება მასთან რაიმე უწესო საქმის ჩადენას. მაგალითად, ერის კაცს სათაკილოდ არ მიაჩნია თამბაქოს ხმარება, მაგრამ ამაევ საქმისათვის თავის სულიერ მოძღვარს კი ძრახავს. უზომოდ ღვინის დალევა და დათრობა ერის კაცს არ ეძრახება თავისთვის, ხოლო როცა ხედავს, რომ მისი სულიერი მოძღვარი ითვრება, ეს კი ცოდვად მიაჩნია. აგრეთვე საწყენად რჩება ერის კაცს, როცა ხედავს, რომ მისი მოძღვარი კარტს თამაშობს. ამიტომ სულიერმა მწყემსმა თავის სამრეველოის სიყვარულისა და პატივისცემის მოსაპოებლად არასოდეს არ უნდა ჩაიდინოს ისეთი რამ, რომელიც არ შეშვენის მის ხარისხს. ყოველი მწყემსი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მრეველს არასოდეს არ შეუყვარდება ის მწყემსი, რომელიც განზრახ სვამს ღვინოს და დროებას ატარებს ზოგიერთებთან, რომ ამით მათ დაუახლოვდეს და მათი სიყვარული მოიპოვოს. ზოგიერთნი მწყემსნი არა თუ არ უშლიან ზოგიერთ თავის მოწაფეთ უმიზეზოდ წმიდა ეკლესიისგან დადგენილ მარხვების დარღვევას. არამედ ნებასაც აძლევენ და მასთან უმარტენ, რომ მარხვა ღღეში სახსნილო საჭმლის მიღება არასფერი ცოდვა არ არისო; მაგრამ ამ გვარი საქციელი მღვდლისა არავის არ მოეწონება. მწყემსი არის სულიერი მამა მისდამი რწმუნებული სამრეველოისა, რომელიც პირველს უცქერის როგორც თავის მასწავლებელს და მისი სულისათვის მზრუნველს. ამიტომ მწყემსი უნდა მოერიდოს ყოველივე მას, რაც მას მნიშვნელობას და გავლენას უკარგავს სამრეველოში და რაც ლაქსა სცხებს მის წმიდა და მაღალს სამსახურს, თუ არ უნდა გაგონოს თავის სამრეველოსაგან: «შენ ჩვენი სულიერი მამა ხარ, შენ ჩვენ უნდა გვასწავლო ჭკუა და შენ კი თვითონ ჩვენზე ცუდად იქცევი».

«მწყემსი»-ს კორესპონდენცია

გურიიდგან.

ოზურგეთის მაზრაში მდებარეობს სოფელი ჯუმათი. ამ სოფელში მცხოვრებთა რიცხვი ივნება არა ნაკლებ 400 კომლისა. უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა არიან საეკლესიო გლეხები. ადგილის მდებარეობა ამ სოფელში მეტად გორაკებიანია, მაგრამ ჰაერის თვისებით კი ეს სოფელი გურიის ყველა სოფლებზე უკეთესია. ადგილობით მკვიდრთა დიდი შრომა და ჯაფა სჭირდებათ, რომ წლის სარჩო მოიყვანონ. ადგილების უსწორ-მასწორობისა გამო სახნის ვერ ხმარობენ ხვნა-თესვის დროს. ამიტომ გლეხები იძულებულნი არიან მკლავ-და-მკლავ თოხით ებრძოლონ იმ ძალზედ აჭიმულს და ამაყურად თავს დამაცქერალს მთის ზურგს, რომლის წვეროზედაც განგებას თითქოს განზრახ დაუთმია მცირეოდენი ვაკე ადგილი, სადაც ჩვენის სასიქადულო

წინაპრების ხელით აღშენებული არის მშვენიერის თლილის ქვით ჯუმათის მონასტერი. სასიამოვნო სურათი წარმოუდგება კაცს თვალ-წინ, როდესაც ამ მონასტრიდგან გადასცქერის გურიის არე-მარეს და მის ბუნებისაგან დაჯილდოებულ ტყე-ველს. აღმოსავლეთით ჯუმათის მაღალს გორაზე ნიგოითის მთიდგან მოყოლებული ჩამწკრივებულნი არიან დაბალი, მიხვეულ-მოხვეული და ტყით შემოსილი გორაკები; ჩრდილოეთით გადაშლილია ხელის-გულსავით სწორი მდებარეობა დაბა ლანჩხუთისა, სამხრეთით ჩამოუდის ანკარა და სწრაფად მიმდინარე სუფსა, დასავლეთით სდევს შავი ზღვა. ყველა ამ სურათის მნახველს ოცნება გიტაცებს, გაორკეცებული სიხარულით სტკბები. მაგრამ თუ ცნობის მოყვარეობამ აგიყოლიათ და იმის გამოკელეას შეუდექით, თუ როგორ მიმდინარეობს ამ ტურფა ქვეყნის შვილთა ყოფა-ცხოვრება, ან რა წერტილზე სდგას მათში ძველოაგან ნაანდერძევი ზნე-ჩვეულებანი, მაშინ კი მშვენიერი სურათისაგან თქვენში გამოწვეულ მხიარულებას ფრთები ეკვეცება და მის ნაცვლად მწარე ფიქრებით გული გემლერეოთ, რადგანაც თვალსაჩინო მაგალითები გიმტკიცებენ, რომ ამ კეირცხლი და ნიჭიერი ერის მიდამოზედ მკვიდრი ნიადაგი დაუფერია კაკობრიობისაგან მრავალს საგმობს და განსაკიცხს საქციელს, როგორსაც წარმოადგენს: კაცის კვლა, ცარცვა-გლეჯა, ქურდობა, შურის-ძიება, ღალატი და მასთან პირადი ღირსებისათვის ყოველგვარი სისაძაგლის ჩადენა...

ეს ასეა, მაგრამ ვინ არის ყურისმგდებელი, თუ არა მარტო ქაღალდი, რომელზედაც ანთხევ შენი გულის ყოველივე ვარამს და საქვეყნოთ აამაკრავებ შენი მხრის უკიდურეს მდგომარეობას? ბანა ცოტა გზის ყოფილა ჩვენს დროგამოშვებით გამოცემებში მოხსენებული, რომ ბურიაში ესა-და-ეს მოჰკლეს, ესა-და-ეს გაცარცეს, ესა-და ეს გაქურდეს, ესა-და-ეს გადასწვესო და სხვა-და-სხვა?...

— ძრიელ ხშირად.

— მერე?

— მერე ის, რომ ვისაც თანამდებობა ვალად სდებს წესიერების დაცვას და უსამართლოებასთან ბრძოლას, ისინი ერთობ სუსტად იქცევიან. იგინი პირიქით ბრალსა სდებენ ყოველის მხრიდგან დაჯაბნებულს და ილაჯგაწყვეტილ გლეხობას, რომელსაც საქმის წახდენამდის კაცი არას უჯერის და, როცა წყალი აიმღვრევა, მაშინ ხომ მაზედ მეტი დამნაშავე არაევინ არის, ვინაიდგან ის ყველასათვის დაბალი ღობეა. ისეთს მოელენა კი, როგორიც არის ჯუმათის მონასტრის ბერის მამა ამბერკის მკელელობა, რომელსაც ამ რამოდენიმე დღის წინათ თავს დაეცნენ თვით ადგილობითი ადმინისტრაციის მიერ აღმორჩეული ღამის ყარაულები, ანუ, უკეთა ესთქვათ, ეგრედ წოდებული «სტრაჟა» და თავის თოფით სიცოცხლეს გამოასალმეს ეს ყოველად პატიოსანი და ღვთის მსახებელი ბერ-მონაზონი, უყურადღებოდ დასტოვეს. აი საქმე როგორ იყო: შუაღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც მონასტრის მახლობლად სენაკის კარებს მიადგნენ ზემოხსენებული პირნი და უჩვეულებრივი ძახილით გამოაღვიძეს მამა ამბერკი და სთხოვეს კარის გაღება. ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შიშის ზარს დასცემდა მარტო მყოფ ბერ-მონაზონს სიტყვები: «ავაზაკის ამხანაგები ვართო», განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მ. ამბერკის ეზარა გასაღები მისდამი რწმუნებული მონასტრისა, რომელშიდაც ინახება არა მცირედი ძვირფასი სიმდიდრე ჯუმათის მონასტრისა. ამ საშიშარმა სასოწარკვეთილებამ საწყალს ამბერკის აფიქრებინა უკანა კარების გაღება და, თუ თავისთავს ვერ უშველიდა, მონასტრის სიმდიდრე მაინც დაეცო მისის გასაღების გადაგდებით. ბააღო მან უკანა კარი თუ არა, სწორეთ ამ დროს მოჰკლეს იგი და ხელში შეაცვევს გასაღები მონასტრისა. თოფის გრიალმა და უჩვეულებრივი ხმაურობამ გამოაღვიძეს საწყალი ამბერკის მახლობლად მყოფნი თანამოძმენი, რომელნიც სისწრაფით მისცვივდნენ მ. ამბერკისთან, მაკრამ იგი უკვე იდვა უგრძნობლად და მის გარშემო გულცივად იდგნენ ჩამდენნი ამა საცოდაობისა და მკითხველს პასუხათ ეუბნებოდენ: «ავაზაკი გვეგონაო». იგულისხვეთ, რომ ეს პირველი მოქმედება არ არის «სტრაჟის» მხრით, არამედ მეორე და ორივე შემთხვევაში თავი მითი იმართლეს, რომ «ავაზაკი გვეგონაო».

გარეშე მაყურებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ არის ბედნიერი?

ვინც მსახურებს სიმართლესა,
თუნდაც იყოს კუშ მშიერი,
თუნდ სტირიოდეს ყოველს წუთსა,
მაინც არის ბედნიერი.

ვინცა ჭეშმარიტებასა
ეძიებს კეთილ-ეძიერი
და იმისთვის სწირავს თავსა,
აი ის არს ბედნიერი.

ვისაც ქრისტეს სწავლა უყვარს,
მადალი და სახიერი,
ვინც უნერგავს მას გულში ხალხს,
აი ის არს ბედნ ერი.

ვისაც უყვარს თვის მამული
და თავისი მოძმე—ერი,
თუნდ ის მოძმედ არ უყვარდეთ,
მა-ნც არის ბედნიერი.

ვინაც შვილის გაჭირებულს
და სძულს უქმი, უდიერი,
მოუვარეს სცნობს და მტერსა გმობს,
აი ის არს ბედნიერი.

ვინც არ იჭერს კავშირს მასთან,
რაიცა არს ბიწიერი,
ვისაცა სძულს შური, მტრობა,
აი ის არს ბედნიერი.

ვინც ასწორებს ზნეობით მრუდს
და სიბილწის არის მტერი,
თუნდ თვით ძონძით მოსილ იყოს,
მაინც არის ბედნიერი.

ვისაც ფუჭად ეჩნს ლხინი, ქება
და დიდ ბა მიწიერი,
მდაბალია, მწუნარი მშვიდი,
აი ის არს ბედნიერი.

ვინც მსახურებს მა , რაც არის
მადალი და მშვენიერი,
სიცოცხლე ა მათ მსხვერპლად უძღვნის,
აი ის არს ბედნიერი!

იდ. ფერ:ძე.

30 ქრისტეშობისთვე
89 წ. ქ. კოკე.

ი ვ დ ი თ ი.

(დაბადებიდგან).

I

ნაბუქოდონოსორ მეფემ იხმო ოლოომფერე
სარდალი
და რქვა მას: «მტრების საქლეტად ბასრად
გალესე შენ ხმალი.
წადი გიბრძანებ, ჩემს მტრებსა დაეცი თავში ზარია
და მათი სისხლით მორწყევი შენ უხვად მთა
და ბარია!»
ოლოომფერემ ჯარი შეჰკრიბა, წავიდა საბრძოლ-
ველად
და ბევრი ხალხი გახადა თვის მეფის ხარკის
მხდელად.
ბევრი ხალხი ოლოომფერესა დამორჩილდა უბრ-
ძოლველად,
რადგან ვერას გააწყობდა მხნე სარდალთან
ბრძოლის ველზედ.
ოლოომფერე მოუახლოვდა ბოლოს ადთქმის
ქვეყანასა
და ელჩები გაუგზავნა უფლის ერსა, ისრაელსა:
«ისრაელნო! დამემორჩილეთ, თორემ ვაი თქვენსა
დღესა,
ამოგეკლეტავთ და თქვენს მხარეს ზურგზედ
ვადგენ ნაცარ-მტვერსა!»
ისრაელნი არ დასთანხმდნენ. ეს ეწყინა ოლოომ-
ფერესა
და ერთ იმათ ქალაქს ბეთილს ჯარი შემოარტ-
ყა გარსა.
იმ მდინარეს, რომელიცა ჩადიოდა ქალაქშია,
სხვა გზა მისცა და მცხოვრებნი ჩაგდო დიდს
წყურვილშია.
გოლვაც დადგა. არსადა სჩნდა ზეციდგანა წვი-
მის ცვარი;
თანაც გაჩნდა შიმშილობა. ხალხს სდიოდა
ცრემლის ღვარი.

II

ერთს ღამესა შეიკრიბნენ ბეთილისა მცხო-
ვრებლები,
თავის ბედზედ საუბრობენ გულ გახეთქილ
გულ-ღამწვრები.

ჭერის ნიავი, რომელიცა მწუნარად ანძრევს ხის
ფოთლებსა,
ცის კამარა შეუმკვიათ მოკაშკაშე ვარსკვლავებსა.
მკრთალის შუქით ცაზედა ვალს და ანათებს
ბადრი მთვარე;
რაღაც მკვდარი სიჩუმითა მოცულია არე მარე.
ებრაელნი ცრემლებს ღვრიან და სტირიან
თავის ბედსა,
მოელიან მტრებისაგან ან ტყვეობას ან სიკვდილსა.
არჩიეს და გარდასწყვიტეს, შეეკედრონ ოლომ-
ფრესა:
«დიდებულო, მუხლს მოგიდრეკს, გეხვეწება
ისრაელი,
დამიმონე, მიმსახურე, იყავ ჩემი მბრძანებელი.
ხარკს გადვიხდით ყოველ წლობით, ვემონებით
თქვენს მეფესა,
ოღონდა კი ნუ მოგვისპობ ქვეყანაზედ სი-
ცოცხლესა!»
ებრაელების საუბარს ყურს უგდებდა ერთი ქალი,
მას ცრემლების წვეთებითა სავსე ჰქონდა ორივ
თვალი.

III

ეს ქალი იყო ივდითი, ქვრივი, ძლიერ
მდიდარია,
თვის სამშობლოს მოყვარული, ქალი მშვიდი
და წყნარია.
სვინდისი, შეტიოსნება, ღვთის და მოძმის სიყ-
ვარული
იმას თავის კეთილს გულში მტკიცედ ჰქონდა
ჩანერგული.
სიმდიდრესა ის უყოფდა ყოველ წლობით
გლახაკებსა;
იმის სახლში ბინა ჰქონდათ ბედით-ჩაგრულთ,
ქვრივ-ობლებსა.
ივდითი თვალ-ცრემლიანი ეტყვის თავის მოძ-
მეებსა:
«არ გრცხვენიათ?! რისთვის უთხრით თქვენს
ქვეყანას სამარესა?!
როგორ შეკრთით, რას ჩადიხართ? საღ არს
თქვენში მამაცობა?
ნუ თუ კარგი გგონიათ თქვენ სხვისი მონება და
ყმობა,
კაცი უნდა მამულისთვის თავის თავსა გასწირ-
ვიდეს,
მისთვის უნდა მტრებთან ომში უშიშრადა სიხლსა
ღვრიდეს.
მე ქალი ვარ, უფლისაგან ძლიერ დაჯილდო-
ებული:
იმისგან მაქვს სილამაზე და სიმდიდრე ბოძებული.
მოვირთობი, მოვიკაზმი და წავალ მე მტრის
ბანაკში,
ან დავიხსნი სამშობლოსა და ან ჩავალ სამარეში.
თქვენ დამლოცეთ, ჩემო ძმებო, შემავედრეთ მე
უფალსა,
იმედი მაქვს იმის ძალით მე დავიხსნი ჩვენს
მამულსა»!
იმათ ძლიერ გაუკვირდათ ივდითისა სიმხნე-
ძალი
და გულ-ოხვრით უთხრეს იმას: «შემწე გეყოს
შენ უფალი!»

IV

ბეთილისა ახლოს ველზედ გაიმართა
ნადიმობა:
ღვინის სმაა და სიმღერა, ტაშის კვრა და თა-
მაშობა.
ოლოომფრესა მოეწონა სილამაზე ივდითისა
და ეს ლხინი — თამაშობა მან გამართა იმისთვისა.
ოლოომფრემა ივდითს უთხრა, «შენც მიირთვი
თასით ღვინო,
შენც, ვარსკვლავო, მოკამკამე, გულით უნდა
მოილხინო.
ჩემო ტურფავ, გთხოვ დასტოვო საუკუნოდ
შენი მხარე,
ჩემთან წამო და სიტურფით ჩემი გული გაახარე!»
ივდითმაცა გაიღიმა, უთხრა დამთვრალ ოლომ-
ფრესა:
«მე ყოველთვის მოწიწებით შენს სახელსა ვსცემ
თაყვანსა.
მხოლოდ მას გთხოვ დაუჩქარო ბეთილისა
ალებასა.
მე გიჩვენებ, ოლოომფრეო, ამ ქალაქის კედლის
კარსა.
შედი მაში დიდის რისხვით, ყველას დაეც თავში
ზარი,
ამოიყლიტე მცხოვრებლები, დააყენე სისხლის
ღვარი.
მერე, ჩემო ოლოომფრეო, წავიდეთ შენს მხა-
რეშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იქ ვიყოთ სიკვდილამდის ტკბილსა ნეტა-
რებაშია.
ჩემსა ღმერთსა გულითა ვსთხოვ, მოგცეს მტრებ-
ზე გამარჯვება.
და ამ დვთისა ღამით ლოცვა ნურვისგან ნუ
დამშლება.
შენ უბრძანე დარაჯებსა: გამიშვან მე ღამით
კარში,
რომ ვილოცო ჩემი ღმერთი, კვლავ მოვიქცე
შენს საწოლში!»
ოლოომფრეს ეს გაუხარდა და უთხრა მას ღიმი-
ლითა:
«რაცა მთხოვე, აღგისრულებ დიდის კმაყოფი-
ლებითა!»
მან უბრძანა დარაჯებსა: «იცნობდეთ თქვენ ამ
ივდითსა,
ნურასოდეს ნუ დაუშლით მას შინ შესვლასა
გამოსვლასა!»
ბოლოს იგი მთვრალი ივდითს საწოლშიაც
მიიწოლდებს,
ივდითიცა მას გაჰყვება, უცინის და უა-
ლერსებს.

V

ღვინითა და ალერსითა ეს ოლოომფრე გულ-
გამძღარი
საწოლშია განისვენებს და აგდია როგორც
მკვდარი.
მხოლოდ ივდითს როდი სძინავს, მას სულ
სხვაზედ უძგერს გული:
რომ შეხედავს ოლოომფრესა, აგონდება თვის
მამული.
აი კიდეც ხელთ აიღო მან ოლოომფრეს მჭრელი
ხმალი
და სთქვა: «ღმერთო! ძალი მომეც, ვით დავითსა
მიეც ღონე!»
სთქვა და ხმლითა მან წააჭრა ოლოომფრესა
ცქვიტად თავი.
მოჭკლა კაცი, შხამით სავსე, ბევრი ხალხის
დამტანჯავი.

VI

ივდითმა თვის მსხვერშლის თავი ჩადო
ტილოს ტომარაში
და დიდსა სიჩქარითა წამოვიღა თავის სახლში.
სიხარულით მოუტანა მოძმეებსა მტრისა თავი,
ელვასავით უველგან ჩქარა მიმოისმა ეს ამბავი.
შემკრთალი და დაფრთხობილი დაიფანტა მტრე-
ბის ჯარი,
რადგან იმას აღარ ჰყავდა სხვა მამაცი წინამ-
ძღვარი.
მტრისა თავი ებრაელთა ქალაქისა ბეთულიასთან
ჩაკიდეს,
რომ მას უველა ებრაელი დასცინოდეს და ქვას
სვრიდეს.

VII

აი ასე გამოიხსნა ამ ივდითმა თვისი მამული,
შიმშილითა და წუურვილით ოლოომფრესგან
წამებული.
მოძმეებსა შეუუვარდათ ივდითი დვთის-მოუვა-
რული,
მამულისა და მოუვსისთვის მოდვაწე თავ-
დადებული.
სიკვდილამდისა ივდითი იყო მოძმეების მშველი:
მათთან იგი იცინოდა, მათთან იყო ცრემლის
მღვრელი.
მოძმეებსა იგი ხშირად აძლევდა კარგს დარიგებას,
იყო მომხრე ეთილისა და სდევნიდა ბორო-
ტებას.
როცა მოკვდა ებრაელთა, მისთვის ბევრი ცრემ-
ლი ღვარეს,
შავებითა შეიმოსენ და მტკვერიცა თავს იყარეს.
დიდის ოხვრით და ტირილით მათ დამარხეს
თვისი მხსნელი.
და აქამდის არ მომკვდარა, არც მოკვდება მის
სახელი!

იღ. ფერაძე.

საისტორიო მასალა *).

Წიკასტორიისა ჩვენისა მსაჯულთა მიერ განსჯილ-სა განჩინებასა ამის კამეკოფებ. Kოემბერს Კ. ᲩᲔᲚᲡᲐ ᲩᲔᲣᲓ.

ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲭᲝᲕᲚᲐᲓ ᲣᲨᲘᲜᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲙᲐᲡᲢᲘᲠᲘᲘᲡᲐ ᲛᲘᲔᲠ:

ᲬᲘᲚᲝᲛᲔᲚᲜᲘ ᲮᲣᲪᲔᲑᲘ ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛ ᲓᲐ ᲞᲐᲪᲔᲚᲘ ᲰᲬᲝᲤᲝᲗᲔᲕᲔᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲪᲘᲚᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲘᲚᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲚᲝᲪᲔᲚᲝᲗᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲗᲐ ᲖᲔᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘᲡᲐ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ, ᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲘᲡᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡᲐ, ᲛᲔᲝᲗᲮᲔ, ᲗᲝᲗᲘᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡᲐᲕᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲣᲗᲘ ᲓᲘᲓᲐᲠᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲛᲝᲬᲛᲝᲠᲔᲑᲘᲗ: ᲙᲔᲚᲐᲓ ᲰᲑᲠᲫᲝᲚᲝᲜᲓᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲗᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲗᲐ ᲨᲔᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝᲗ ᲨᲔᲛᲘᲡᲐᲕᲔᲚᲝᲓᲐᲛ ᲛᲘᲢᲜᲐᲙᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲚᲗᲐ ᲠᲐᲝᲛᲔᲓᲔᲜᲗᲐᲛᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲗ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲝᲠᲗᲐᲕᲔ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ, ᲨᲔᲣᲗᲝᲗᲘ ᲒᲣᲚᲫᲔᲠᲝᲑᲐ, ᲩᲮᲣᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲮᲔ: ᲛᲝᲒᲘᲓᲔᲜᲔᲜ ᲝᲠᲜᲘᲔᲒ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲣᲨᲘᲜᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲡᲢᲘᲠᲘᲡᲘᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲚᲐᲰᲐᲠᲐᲯᲔᲡ, ᲓᲐ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲗᲘᲗᲝᲗᲔᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲐᲡᲘᲜᲯᲔᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡᲐ ᲛᲐᲗᲘᲡᲗᲐᲗᲘᲡ, ᲔᲕᲘᲡᲣᲚᲜᲗ ᲠᲐ ᲝᲠᲙᲔᲠᲫᲝᲗᲔ ᲛᲔᲢᲜᲐᲙᲚᲔᲑᲜᲐ. ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲓᲠᲙᲣᲗ. ᲨᲔᲣᲠᲘᲡᲮᲔᲗ ᲝᲠᲗᲐᲕᲔ. ᲒᲐᲛᲓᲮᲘᲚᲔᲗ, ᲒᲐᲜᲒᲔᲰᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲐᲗᲘ, ᲓᲐ ᲐᲦᲒᲘᲗᲔᲗ ᲧᲝᲛᲚᲘᲡᲯᲐᲕᲠᲝᲗ ᲡᲐᲪᲘᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲪᲮᲠᲔᲗ ᲨᲔᲗᲝᲗᲘᲪᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐᲓ ᲒᲠᲫᲔᲚᲝᲑᲘᲗᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲣᲨᲘᲜᲔᲡᲝᲑᲘᲡᲐᲗᲐ, ᲔᲡᲠᲔᲗ ᲒᲐᲜᲒᲔᲐᲒᲔᲗ ᲛᲐᲗᲗᲘᲗᲘᲡ, ᲓᲐ ᲒᲐᲜᲔᲐᲩᲘᲜᲔᲗ:

ᲜᲐᲛᲠᲔᲚᲝᲛᲘ ᲠᲝᲛᲒᲝᲠᲘᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐᲓ ᲰᲥᲝᲜᲘᲐᲗ ᲒᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ, ᲘᲡᲔᲔ ᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲐᲓ ᲔᲤᲘᲠᲝᲡᲗ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲜᲣ ᲨᲔᲕᲔ ᲓᲐ ᲜᲣᲠᲩᲐᲠᲐᲡ ᲘᲛᲔᲦᲔᲚᲓᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ. ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲗᲘᲜᲘᲔᲠ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲣ ᲔᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲝᲒᲘᲓᲔᲡ ᲡᲐᲘᲗᲛᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲓᲔᲒᲔᲡ, ᲮᲣᲪᲝᲑᲘᲗᲘᲐᲪ ᲘᲛ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲡᲘ ᲛᲔᲓᲒᲔᲚᲛᲐ ᲣᲮᲣᲪᲝᲡ, ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲠᲗᲡ ᲨᲔᲔᲪᲘᲚᲔᲑᲐ, ᲘᲒᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗᲐ ᲛᲐᲛᲐᲗᲐᲗᲐ ᲓᲐᲘᲡᲯᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ:

ᲬᲘᲚᲝᲛᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲐᲥᲕᲡᲗ ᲬᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲜᲘᲐᲜᲘ, ᲠᲘᲒᲘᲗ ᲡᲬᲠᲔᲕᲔᲓᲔᲜ. ᲔᲠᲗᲘ ᲙᲔᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲬᲠᲘᲕᲔᲓᲔᲡ, ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲝᲔᲮᲔᲛᲐᲠᲔᲑᲝᲛᲔᲓᲔᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲙᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲬᲘᲠᲘᲕᲔᲓᲔᲡ. ᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲝᲛᲙᲐ ᲐᲬᲘᲠᲘᲕᲘᲜᲝᲡ ᲕᲘᲜᲛᲔ, ᲡᲐᲬᲘᲠᲐᲕᲘᲪ ᲛᲐᲠᲗᲝᲡ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲔᲪᲘᲚᲔᲑᲐ, ᲓᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲗᲝᲗ ᲛᲝᲮᲣᲕᲘᲓᲔᲗᲗ ᲡᲐᲬᲘᲠᲐᲕᲘ, ᲨᲣᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲧᲝᲜ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲫᲛᲐᲗᲐ. ᲓᲐ ᲗᲣ ᲢᲐᲑᲚᲐ, ᲐᲜ ᲖᲔᲠᲐᲠᲐ, ᲐᲜ ᲛᲮᲐᲠ.ᲢᲧᲐᲕᲘ, ᲐᲜ ᲙᲣᲠᲐᲢᲘ, ᲐᲜ ᲞᲣᲠᲘ, ᲐᲜ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲜᲘᲗᲘᲠᲘᲗᲐ ᲠᲐᲛ ᲛᲝᲮᲣᲕᲘᲓᲔᲡᲗ ᲠᲐᲛᲔ, ᲔᲡᲔᲜᲘᲪ ᲨᲣᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲧᲝᲗ ᲝᲠᲗᲐᲕᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲠᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამიერითგან ძმებრითა სიყვარულითა, უშფოთველად ჰსცხოვრებდენ ურთი-ერთარს, ვითარცა ჭშვენის მღვდელთა ქრისტესთა:

ესა რომელიც დღეის იქით ამ ჩვენგან განჩინებულს და განწესებულს არ დასჯერდება, და არ დაემორჩილება, და კეალად მეშფოთედ აღმოჩნდება, იგი ჩვენგან ბრძანებითა მისის უწმიდესობისათა სულიერის მჰსჯაერით, შეუნდობელად განიკანონება, საკანონო მიუხედება, და სამრეველოსაგანა თვისისა უნაწილოდ დაშთება: ნოემბერს ა, წელსა ჩღჟდ.

მდაბალი მიტროპოლიტი. (ბეჭედი)
სკეტის ცხოვლის, და ამის სამღდის კარის
ეკანონოზი ნიკოლოზი.
უდირსი მწიგნობარი არქიმანდრიტი. (ბეჭედი)

ახალი ამბები და შენიშვნები.

აგერ სამოცდა-ხუთი წელიწადი მეტია, რაც ჟუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი არსებობს, მაგრამ დღემდის ჯერ კიდევ არ არის დაწესებული მისი დაარსების ყოველ წლიური დღესასწაულობა. აგრეთვე აქამომდე არ მომხდარა ამ საბწავლებელში წლიური აქტი. ნუ თუ ეს ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი ნაკლებია იმ ხაერო ოთხ-კლასიან სასწავლებლებზე, რომლებშიაც დღეის ამბით სრულდება ყოველს წელს წლიური აქტი? ამ ოთხ-კლასიანი სასწავლებლის ყოველ წლიური ანგარიშის მოსმენა მეტად სასიამოვნო იქმნება ყველასათვის, განსაკუთრებით იმ სამღვდელოებისათვის, რომლის ხარჯითაც ინახება იგი და რომელშიაც სწავლობენ სამღვდელოების შვილები. მართალია, ყოველ წლობით სასწავლებლის მდგომარეობაზე ანგარიშს აძლევენ ხოლმე სამღვდელოების ყრილობას, მაგრამ ეს ანგარიშები ისე ვრცელნი არ არიან, რომ მათგან სამღვდელოებამ შეიძლოს ყოველივე ცნობის შეკრება. მაგალითად, სამღვდელოების კრებას დღემდის კიდევ კარგად ვერ შეუტყვია, თუ რამოდენი აერო წოდების და სხვა ეპარქიების სამღვდელოების შვილები სწავლობენ ამ სასწავლებელში, რა შემოდის მათგან და რაზე იხარჯება ეს ფულები.

ღღეს, როგორც შეეტყვეთ, მისი ყოველად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის წინადადებისა მებრ უნდა დაწესდეს ამ სასწავლებლის დაარსების დღესასწაულობა ყოველ წლობით და მასთან უნდა მოხდეს წლიური აქტი. ამ მდგომარე წელში როგორც სასწავლებლის დაარსების დღესასწაულობა, ისე წლიური აქტი ხსენებული სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ უნდა მოხდეს ამა თვის 26 რიცხვსა. ამავე დღეს ყოველად სამღვდელო ბაბრიელის წინადადებისა მებრ უნდა დაარსდეს ლარიბ-მოწაფეთა დამხმარე «ძმობა». სწორეთ სასიამოვნო იქმნება მისი მეუფების განზრახვათა აღსრულება.

***

იმერეთის ეპარქიის მედავითნეთ უნდა ეახაროთ ერთი სასიამოვნო განკარგულება ადგილობით მღვდელ-მთავრისა. ღღეიდგან არავის არ შეუძლია გამოითხოვოს მედავითნე განმეორებითი ეკზამენის დასაჭერად.

***

მოგვეყავს ზოგიერთა საყურადღებო ცნობები კავკასიის მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების 1888 წლის ანგარიშისაგან. ამ საანგარიშო წელში მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის სურვილისამებრ დახარჯულია ძველის ტაძრების განსაახლებლად და ახლების ასაგებად 6,443 მ. და 16 კ. ამავე საგნისათვის საზოგადოებას გადაუდია 9,100 მ. საანგარიშო წელში ხსენებული საზოგადოების გამგეობაში ყოფილა სულ 170 სამრეველო ეკლესია. ამ წელში ხსენებულს საზოგადოებას დაუარსებია ეკლესია სოფ. ბელაქანს (საინგილოში). საინგილოში ქრისტიანობა გავრცელებულა 1850 წელსა. 1863 წლამდე საინგილოში ყოფილა რვა მართლ-მადიდებელი ეკლესია, ხოლო ღღეს ყოფილა მარტო 4 ეკლესია, რადგან ზოგიერთნი ახალ-განათლულნი ისევ ძველს რჯულზედ გარდასულან. საინგილოში ხსენებულს საზოგადოებას გაუმართავს ორი სამრეველო სკოლა. საზოგადოებას სულ 28 სკოლა ჰქონებია. ამ 28 სკოლაში 14 სკოლა ყოფილა ჩრდილო-კავკასიაში და თორმეტი საქართველოში. საზოგადოებაში საანგარიშო წელში ყოფილა სულ 1283 წევრი.

ყოველ წლიური შემოსავალი ჰქონებია საზოგადოებას 136,419 მანეთი. ამ ფულებიდგან საზოგადოებას დაუხარჯავს სამღვდელოთა შესანახავად 61,377 მ. სკოლებზე 20,760 მ., საზოგადოების გამგეობაში მყოფ სკოლების ინსპექტორს მიუღია ჯამაგირად 2,760 მ. დანარჩენი ფული დაუხარჯავს საზოგადოებას წიგნების ბეჭდვისა და ეკლესიების განახლებაზე. სულ დახარჯულა 136,419 მ. და 78 კ.

*
* *

მთელს რუსეთში, როგორც სჩანს უწმიდესი სინოდის ცნობებისაგან, თეთროსანი სამღვდელოების რიცხვი ყოფილა შემდეგი: 1,418 დეკანოზი, 34,345 მღვდელი, 6,810 მთავარ-დიაკონი, 42,371 მედავითნე და სრულიად 84,974 კაცი. ამათ გარდა შტატგარეთად ირიცხება 6,040 სასულიერო პირი. თეთროსანი სამღვდელოების შესანახავად წარსულს წელში სახელმწიფოს დაუხარჯავს ჯამაგირებად 18,000, ეკლესიების კრებულთა შესანახავად 5,988,191 მ., პენსიებზე 354,355 მ. საეკლესიო-სამრეველო სამზრუნველოებს ამავე საგნისათვის დაუხარჯავსთ 18,0000 მ. ეპარქიულ სამზრუნველოებს სასულიერო წოდების ღარიბ პირთა შესაწევნად დაუხარჯავს 1,428,000. ამ უკანასკნელ სამზრუნველოების განკარგულებაში ირიცხება დღეს თანხა, რომელიც ოთხმილიონამდე ადის.

*
* *

ამ თვეში პეტერბურგის ეკლესიებში, როგორც სჩანს შეკრებილი მეტრიკებისაგან. დაუწერიათ ჯვარი 6,460 სხვადასხვა აღსარებია პირთა.

*
* *

31 დეკემბერს თბილისის სასულიერო სემინარიაში ცისკრის ლოცვის შესრულების შემდეგ აღკვეცილ იქმნა ბერად თავადი ბორის პეტრეს ძე ტურკესტანოვი, რომელმაც დაამთავრა სწავლა მოსკოვის ერთ გიმნაზიაში და მიიღო ატესტატი. თავადი ბორისი სწავლის დამთავრების შემდეგ, თავის სურვილისა მებრ, განწესდა ოსეთის არდონის სასწავლებლის მასწავლებლად. თავადნი ტურკესტანოები პეტრე დიდის დროს საქართველოდგან გადავიდნენ ყაბარდოში რუსეთისკენ.

თავადმა მიიღო ბერობა თავის გულწრფელი სურვილისა მებრ. იგი არის 28 წლისა. ბერად აღკვეცა იგი სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა, რომელმაც გრძნობიერი სიტყვა უთხრა ახლად აღკვეცილს. აღკვეცის დროს თავად ბორისს უწოდეს სახელად, მისი სურვილისა მებრ, ტრიფონი. ახალს წელს მონაზონი ტრიფონი ხელ-დასხმულ იქმნა საქარ ველოს ეპარხოსისაგან მთავარ-დიაკვნად, ხოლო ნათლის-ღებას ხელ-დასხმულ იქმნა მღვდელ-მონაზენად.

*
* *

უწმიდესი სინოდის დადგენილობისა მებრ დეკანოზის ალექსანდრე სერეფინის წიგნი, სახელად «კურსი საღმრთო სჯულისა» (გამოცემა მეცხრე, მოსკოვი, 1888 წელსა), რომელშიაც მრავალს ადგილას მოიპოვებიან დიდნი ნაკლულევანებანი, უნდა გამორიცხულ იქმნეს ხმარებიდგან, როგორც სასწავლო სახელმძღვანელო წიგნი საღმრთო სჯულისა, როგორც დასაწყის საერო სკოლებიდგან და სასულიერო სასწავლებლების და გიმნაზიების მოსამზადებელ კლასებიდგან, ისე საეკლესიო სამრეველო სკოლებიდგან.

*
* *

ხმა გავრცელდა, რომ ძველი შესანიშნავი ნაშთები, რომელნიც არიან მონასტრებში და ეკლესიებში და რომელნიც არ იხმარებიან, უნდა დაცულ იყვნენ ყველანი ერთ მუზეიში. საზოგადოებას ეს განკარგულება არ მოსწონდა. ერთი ეპარქიიდგან მეორე ეპარქიაში ნაშთების გადატანას რაღაც სხვანაირი თვალით უყურებდენ. ჩვენი აზრი იყო, რომ თითოეულ ეპარქიაში დაარსებულ იყო ამისთანა ძვირფასი ნაშთების შესანახავი მუზეი. ესევე აზრი გამოუცხადა ბ. ქონდაკოვს პატივცემულმა დ. ზ. ბაქრაძემ. ახლა, სასიხარულოდ, ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. ქონდაკოვს უკვე წარუდგენია ეს აზრი ხელმწიფისათვის და, როგორც ისმის, შეწყნარებული იქმნება იგი და თითოეულ ეპარქიაში დაარსდება ცალ-ცალკე მუზეიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ვეთილ-ზნეობაზედ.

სიტყვა

ახალს წელიწადს *).

მართლ-მადიდებელნო ძმანო ქრისტიანენ ო!

ამა ქვეყანაზე, კაცთა შორის, არსებობს ერთი შესანიშნავი და სასარგებლო ჩვეულება: როგორც რომ გათავდება ძველი წელიწადი და დადგება ახალი, მაშინ ყოველი მოხელე და ყოველი თანამდებობის აღმასრულებელი კაცი შეადგენს თავის საქმის, ანუ თანამდებობის წარმოების ანგარიშსა და წარუდგენს თავის უმფროსსა, ანუ თვითონვე მოიხმარს. მაგალითად, კაცი, რომელსაც აბარია სასამართლო, შეადგენს ანგარიშსა, რაოდენი საქმე წარმოებდა მისს სასამართლოში წარსულის წლის განმავლობის დროს, რავდენი მათგანი გათავდა და რავდენი დარჩა გუთავებელი და რისთვის. მინც სასწავლებელის უფროსია, მან უნდა შეადგინოს ანგარიში, რაოდენი მოწაფენი სწავლობდნენ მისს სასწავლებელში, როგორ სწავლობდენ და იქცეოდნენ. სახელმწიფო ხაზინადაი შეადგენს ანგარიშსა, რაოდენი ხაზინის ფული შემოვიდა და გავიდა წარსულს წელში. ზონიერი ვაჭარი დაჯდება ამ ჟამად და გამოიყვანს ანგარიშსა, როგორ სწარმოებდა მისი ვაჭრობა, რა მოიგო მან წლის განმავლობაში; თუ დაინახა რომ ბევრი ვერაფერი მოიგო, ანუ, ვინიცობაა, კიდეც წაგო, მაშინ იგი ცდილობს შეიტყოს რა იყო მიზეზი ამისი, რამ დააბრკოლა მისი ვაჭრობ..

Ცხადია, თუ რისოვის გაჩნდა კაცთა შორის ესრეთი ჩვეულება და რა სარგებლობა წარმოსდგება აქეთგან. Ესრეთი ანგარიშის შედგენით გონიერი კაცი მოიმატებს გამოცდილებასა, იგი შეიტყობს, რა შეეწევა მის საქმის წარმატებასა და რა დააბრკოლებს მას, და ესრეთ მომავალის წლისათვის საქმეს უმჯობესად დაიწყობს. საუბედურად ჩვენ ყოველთა გვაქვეყდება ერთი ანგარიში, რომელიცა უსაჭიროესია, და უმეტესად სასარგებლოა თვითოეული კაცისათვის. რომელი? ქრისტიანული, ზნეობითი, ცხოვრების და ეკონომიკეის ანგარიში წარსულის წლის განმავლობაში.

მიეც, ძმაო ქრისტიანე, დღეს ანგარიში შენს სინიდისსა და ღმერთსა, და შეიტყე, როგორ განატარე წარსულ წელს შენი ცხოვრება—სიწმიდით და კრძალულებით, ანუ დაფანტულად და უზრუნველად? მოგემატა შენ წარსულის წლის განმავლობაში რომელიმე მადლი და სიკეთე, ანუ უწინდელთა ცოდვათა შენ დაუმატე ახალნი ცოდვანი? Უმჯობესი შეიქმენი სულიერად, ანუ უარესი? მიუახლოვდი ღმერთსა, ანუ უმეტესად განეშორე მისგან? მოიმალე რომელნიმე ცუდნი ჩვეულებანი, ბოროტნი მიდრეკილებანი, ანუ სამწუხაროდ, ივინი უმეტესად განძლიერდენ შენს ბუნებაში? Ესრეთი ანგარიში უმეტესად სასარგებლო იქმნება შენთვის, ვიდრე სხვანი, ვინაითგან ყოველი საქმის და შრომის წარმატება დამოკიდებულია შინაგანთა კაცის თვისებათა და მიდრეკილებათა ზედა. Აკეთილ გონიერი ქრისტიანე ყოველ საღამოს გამოიკვლევს თავის სულიერს მდგომარეობასა, შენ წელიწადში ერთხელ მაინც აღასრულე ეს სასარგებლო საქმე.

Და ესრედ: უკეთუ შენ ხარ ვაჭარი, როდესაც იწყებ შენი ვაჭრობის ანგარიშის შედგენას, მაშინ ისიც ჰკითხე შენს თავს: რა სახით აწარმოებდი ვაჭრობასა, სიმართლით, ანუ მოტყუებით? Აღებ-მიცემაში გახსოვდა შენ, რომ სჯული შენი ყოველს საქმეში მოითხოვს სიმართლესა და პატიოსნებასა, ანუ, სამწუხაროდ, შენ მხოლოდ იმას ჰფიქრობდი, რაც შეიძლება და რა სახითაც შეიძლება მოგებული მოიგო, ერთი სიტყვით, გახსოვდა შენ, რომ კაცი ჯერედ უნდა იყოს ქრისტიანე და მერმე ვაჭარი?

Თუ ხელმწიფის სამსახურში ხარ, როდესაც შეადგენ შენი სამსახურის ანგარიშსა, მაშინ ესეც ჰკითხე შენს თავს: როგორ ასრულებდი სამსახურსა,

*) თქმული ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ.

კეთილ სინიდისიანად ანუ მრუდედ? საქმის წარმოებაში შენ, იქმნება, გახსოვდა მარტო ფორმა, ანუ გარეგანი სახე საქმისა და არა შინაგანი მისი მნიშვნელობა? შეხ, იქმნება, იმას ჰსცდილობდი, რომ შენთა უმფროსთა თავი მოაწონო და ჯილდოები მიიღო, და არა იმას, რომ მოყვასთა შენთა მისცე სარგებლობა და შემწეობა? ერთი სიტყვით, იქმნება შენ დაგავიწყდა, რომ კაცი პირველად უნდა იყოს ქრისტიანე და მერე სამსახურის აღმასრულებელი, ანუ უმჯობეს არს, ქრისტიანობა და სამსახურის აღსრულება ისე განუყოფელად უნდა იყოს შეერთებული შენში, რომ ერთი მეორეს დაამშვენებდეს.

უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი, ესე იგი გყვანან მოწაფენი, რომელთა შენ ასწავლი ანუ წიგნსა, ანუ რომელსამე ხელობასა, მაშინ უფრო ფიცხელი და პირ-მოუთნელი ანგარიში უნდა მისცე შენს სინიდისსა. რა სახით ასრულებდი ამ მოვალეობას წარსულის წლის განმავლობაში? გახსოვდა შენ ყოველთვის, რა დიდი საქმე არის მოწაფის გაზრდა, რა მძიმე პასუხს მოითხოვს ღმერთი მასწავლებლისაგან? მასწავლებელმა მარტო წიგნი, ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოწაფესა, არამედ უწინარეს ყოველთა პატიოსნება, შრომის მოყვარეობა, ერთი სიტყვით, ქრისტიანობა.

მოკლედ, ვინც გინდა იყო შენ, რომელსაც გინდა საქმეს ასრულებდე, ამ ახალის წლის პირველს დღეს ანგარიში მიეც შენს თავსა, რა სახით ასრულებდი შენს საქმეს, ქრისტიანულად ანუ მსკვლად წარმართთა, რომელთა ახსოვდათ მხოლოდ ერთი გარეგანი კერძო საქმისა, ესე იგი, მარტო თავის მოყვარეობა და წუთი სოფლის სარგებლობა. ქრისტიანე კაცს უნდა ახსოვდეს, რომ ყოველს, თვით უმცირესს საქმეს, აქვს ზნეობითი კერძო; ქრისტიანემ, რომელსა ახსოვს ქრისტე იესოს სწავლა, ყოველი თავისი საქმე ისე უნდა წაიყვანოს, რომ იგი შეეწეოდეს ღვთის სასუფეველის გაფრცელებასა კაცთა შორის.

ვეეედროთ ღმერთსა, რათა მომავალ წელსა ჩვენ ყოველთა მოგვეცეს მშვიდობა და წარმატება ყოველთა პატიოსანთა ჩვენთა საქმეთა შინა და რათა უმეტესად ყოველთა შინა საქმეთა ესრულებდეთ მისსა ღვთიურსა ნებასა. ამინ.

მრევლთა საყურადღებოდ.

მოკლე წესდებანი

ეკლესიების აღსაშენებლად შეწირულებათა შეკრების შესახებ.

§ 1. მრევლი ირჩევს თვისაგან ერთს რომელიმე კეთილ-საიმედო კაცს. ადგილობითი კრებულის თანხმობით და სასულიერო მთავრობის ნება დართვით და ანდობს მას კეთილ-მნებლობითი შეწირულებათა შეგროვებას მარტო ადგილობითი ეპარქიის საზღვრებთა შინა.

§ 2. საეპარქიო მთავრობა, თუ მართლა იცნო მან საჭიროდ ამ გვარი თხოვნის აღსრულება, აძლევს აღრჩეულს პირს რამოდენიმე ვადით კანონიერს წიგნს შეწირულებათა შთასაწერად; წიგნი ესე გაეგზავნება იმ ბლაღოჩინს, რომელ საბლაღოჩინოშიაც უნდა დაიწყონ ფულის გროვება; ხოლო უკანასკნელი ამ წიგნთან გადასცემს აღრჩეულს პირს დაბეჭდილ კრუჟკასაც, რომელიც წინდაწინვე უნდა იქმნეს ნაყიდი მრევლის ხარჯით.

§ 3. დანიშნული პირი, იწყებს რა შეწირულებათა კრებას რომელიმე სამრევლოში, გამოეცხადება ადგილობითი მღვდელს, რომელიც თავის სამრევლოს მოსაველელად თან ატანს მას თავის მედავითნეს.

§ 4. მრევლი თავის შეწირულებას თითონვე ჰყრის კრუჟკაში და შეწირულების რაოდენობას თა-

ვის ხელითვე აწერს წიგნში როგორც სიტყვებით ისე ციფრებითაც, ხოლო უწერილობისა გამო რომელიმე შემ[illegible]ირველისა, ამნაირადვე აწერს ამისთანა კაცის შეწირულებას თანა-მხლე მედავითნე.

§ 5. როდესაც მოივლიან მთლად ერთ სამრევლოს, უკანვე ბრუნდებიან ადგილობით მღვდელთან, რომელიც კანონისაებრ ამოწმებს წიგნს და ყულაბს ორივე პირის თანდასწრებით და თავის შემოწმების შედეგს აწერს წიგნში ამნაირად: «ამა და ამ დროს იქმნა შემოწმებული ესა და ეს წიგნი და კრუქკა და აღმოჩნდა სრული თანხმობა წიგნსა და კრუქკას შორის, შეკრებილი ჩემს სამრევლოში ამდენი მანეთი და ამდენი კაპიკი სრულიად იმექონების აღნიშნულს კრუქკაში; შემდეგ ამისა მღვდელი დაბეჭდავს ფულიან კრუქკას თავის ბეჭდით და გადასცემს მას, წიგნითურთ, ფულის მკრებელს და გზავნის შემდეგ ახლობელ სამრევლოს მღვდელთან. ეს უკანასკნელი და ყველა სხვებიც, რომლებთანაც მივა აღრჩეული ფულის მკრებელი, იქ�ისე, როგორც ზევით არის ნაჩვენები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თვითოეულმა მათგანმა თავის შემოწმებაში უსათუოდ უნდა აღნიშნოს ჯერ მისი მრევლის შეწირულების რაოდენობა, რისთვისაც მან უნდა გამოაკლოს სრულიად ფულის სუმიდან ის რაოდენობა ფულისა, რომელიც აღნიშნულია მის წინეთ შემოწმებაში და ბოლოს უნდა აღნიშნოს სრული ჯამი ფულისა, რომელიც იმექონების კრუქკაში და ისე დაბეჭდილი კრუქკა ფულიანათ გადასცეს მკრებელს. ამ წესით უნდა იქმნეს მიმოვლილი მთელი საბლაღოჩინო.

§ 6. მთელი საბლაღოჩინოს მოვლის შემდეგ, ფულის მკრებელი მიდის ადგილობითი ბლაღოჩინთან, რომელიც ამოწმებს ყველა მისი საბლაღოჩინო მღვდლების შემოწმებას და ფულის რაოდენობას კრუქკაში; თავისი შემოწმების შედეგს სწერს წიგნში; ფულების მიღებაში იქავე წიგნში ხელს აწერს და თვითონვე იტოვებს გასაგზავნელად საეპარქიო კანცელარიაში, ხოლო თავისი ბეჭდით დაბეჭდილ ცარიელ კრუქკას, წიგნითურთ, უკანვე უბრუნებს ფულის მკრებელს და გზავნის შემდეგ საბლაღოჩინოში. ამნაირადვე იკრიბება ფული ყველა საბლაღოჩინოებში, სანამ წიგნს ვადა გაუვიდოდეს; უმყოფელობისა გამო ბლაღოჩინისა, გინა ავათ-მყოფობისა, მის მოვალეობას შესახებ ამა წესდებულებათა ასრულებს მისი თანაშემწე. აგრეთვე უმყოფელობისა გამო ადგილობითი მღვდლისა, ფულის შეგმკრებელი უნდა მიიქცეოდეს იმ მღვდელთან, რომელსაც მინდობილი აქვს დროებით სამრევლოს მართვა, რადგანაც მღვდლის მეტს არავის ნება არ აქვს კრუქკის გახსნისა.

§ 7. ბოლოს რომელ საბლაღოჩინოშიაც გაუთავდება წიგნს ვადა, ადგილობით ბლაღოჩინი შემდეგ შემოწმებისა წიგნისა და კრუქკისა ზევით გარკვეულის რიგისაებრ, იტოვებს თავის თან წიგნსაც და კრუქკასაც ფულებითურთ. რაზედაც აძლევს ფულის მკრებელს კანონიერს კვიტანციას ხელის მოწერითა მისითა და დასმითა საკუთარის ბეჭდითა; ამნაირ თავის მოქმედებას აღნიშნავს თვით წიგნშიაც და ფულებსაც და წიგნსაც გზავნის საეპარქიო კანცელარიაში.

§ 8. საეპარქიო კანცელარია თავიდამ ბოლოამდი ამოწმებს წიგნს ყველა სხვა და სხვა დროს ბლაღოჩინებისაგან გამოგზავნილ ფულებს ანგარიშით და აგრეთვე იმასაც აქცევს ყურადღებას, თავის დროზე იქმნა მოსპობილი ფულის კრება თუ არა.

§ 9. ამნაირად შეკრებილ ფულებს საეპარქიო კანცელარია გზავნის დანიშნულებისაებრ ან ნაწილ ნაწილად ფულის მიღების თანავე ბლაღოჩინებისაგან და ან ერთიანად მთელი ანგარიშის გაწმენდის შემდეგ როგორც საუკეთესოდ კი იცნობს საქმისთვის ეპარქიალური მთავრობა.

§ 10. ფულის მკრებელს შეიძლება საშრომო მიეცეს, თუ ეპარქიალური მთავრობა დარწმუნდება, რომ მან კეთილ-სინდისიერად აღასრულა თავისი მოვალეობა.

§ 11. უბრალო რვეულების და წიგნაკების ქონება, წიგნის გაყიდვა, გადაცვლა და სხვა ამ გვარები აღეკრძალების ფულის მკრებელს, ეპარქიური მთავრობის ნება დაურთველად.

§ 12. ფულის მკრებელი, როგორც მრევლის და ეპარქ. მთავრობისაგან აღრჩეული პირი, მასზედ მ ნდობ ლ მოვალეობას წინაღმდეგ-ბოროტ მოქმედებისათვის მიეცემის სასჯელსა შინა სისხლის სამართლის წესით, როგორც ყოველი ვექილობით ბოროტ-მოქმედი პირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწირულება.

ღვთით ალმაშენებელის სამლოცველოს განსაცხებლად და წმ. მოწამეთა ღვთის ბ. კონსტანტინეს ეკლესიის მოსაბაძად ჩვენ მივიღეთ შეწირულება შემდეგ პირთაგან:

შორეულ გიორგის ეკლესიის ეპეტეკენ ზურაბის ძის ჩუბინიძისგან ოთხი ტ-დასი მინეთი. ამ ფულებში თვითონ ეპეტეკენ ზურაბისძეს ჩუბინიძეს შეშოუწირავს	15 მ.
ეპეტეკენ ჩუბინიძის მეუღლეს მირთა ეკატერინეს ბეღლიშვილის ასულს	10 »
ეკასრეთ იოსეს ზაბახიძის ასულს . .	3 »
სოფეთ ზალეკ ეკეზიძის ასულს . .	3 »
ალექსეი ფალიშეს ძე ხარაძეს . .	3 »
სიკო ივანეს ძე ფერაძეს . . .	3 »
ბაღდანე ზალიკი ეკეზიძის ასულს . .	1 »
იოსეს ბაღლეს ძეს ეკეზიძეს . .	3 »
გიორგი ჩუბინიძეს	1 »
სამსონ ნიკოლოზის ძეს ეკეზეზიძეს .	1 »
უვარილის ადგილობითი კომანდის უფროსის თავადი ზუმბაოლოვისგან მივიღეთ ოთხი მანეთი და თერთმეტი შაური, რომელიც შეუწერია ადგილობით კომანდაში . .	4 მ. 55 კ
სულ . . .	47 მ. 55 კ

მიიღება ხელის-მოწერა 1890 წლისათვის ოთ. კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზედ“

⁊

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს საშლეველო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა, არის — 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დამორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 6 »	— „ ორივე გამოცემა 4 »
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 მ.

რედაქცია იმყოფება ქ. თბილისში ოქრომჭედლების ქუჩაზე № 20, რედაქტორის საკუთარ სახლებში.

რედაქციას აქვს კანტორები: ქ. ქუთაისში ხანაშვილების სახლებში და დ. ყვარელაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **რედაქციაში**, ისე **კანტორებში**.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით; Въ Квирилы, въ контору редакціи **„МЦКЕМСИ“** и **«ПАСТЫРЬ»**.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. დამბაშიძე. *Дозв. цензурою Кутаисъ, 14 Января 1890 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Хананових на Нѣмецкой ул.